საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 2874
12/06/2020

2874-0-4-202006121738

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელებისას საჭირო ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელების პროექტების ადმინისტრირებისა და მართვის პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ (პროექტის ადმინისტრატორი).

2. „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში http://votes.oz.gov.ge ელექტრონულ მისამართზე საპროექტო წინადადებების მიღება დაიწყოს 2020 წლის 15 ივნისიდან და პირველი ეტაპი დასრულდეს 2020 წლის 30 ივნისს.

3. რეგისტრირებულ საპროექტო წინადადებებზე კენჭისყრის პროცედურები დაიწყოს პირველ ეტაპზე შემოსული საპროექტო წინადადებების გამოქვეყნებისა და მომზადებისთანავე მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 15 ივლისისა.

4. კენჭისყრის პროცედურები გაგრძელდეს 2020 წლის 30 სექტემბრამდე ან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე.

5. პროექტის დასაშვებობის განსაზღვრა განხორციელდეს 2 ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე ბიუჯეტში ასახული წესისა და ამ ბრძანების შესაბამისად დასაშვებობა განსაზღვროს პროექტის ადმინისტრატორმა;

ბ) მეორე ეტაპზე ტექნიკური დასაშვებობა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის მერიამ;

5.1 საპროექტო წინადადების დასაშვებობის განსაზღვრა ორივე ეტაპის გათვალისწინებით მოხდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

6. საპროექტო წინადადების დამუშავებისა და შეფასების პროცესში ტექნიკური მხარდაჭერა დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი"-ს. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნას მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების ტექნიკური და სხვა რესურსები.

7. ოპერატორმა უზრუნველყოს როგორც პროექტების დამუშავებისას ასევე კენჭისყრის მიმდინარეობისას პროექტის ავტორის, საინიციატივო ჯგუფებისა და დაინტერესებული მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.

8. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს „სამოქალაქო ბიუჯეტის" ფარგლებში რეგისტრირებული პროექტების განხილვა/შერჩევისას იხელმძღვანელოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილების მე-13 მუხლით განსაზღვრული სამოქალაქო ბიუჯეტის საკითხები პროგრამა „იყავი თანამმართველის" განხორციელების წესის შესაბამისად.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

10. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია